როგორ იქმნებოდა საქართველო

"სიცოცხლე ,რომელსაც არა აქვს საზღვრები!"

სერგო ფარაჯანოვი და "ბროწეულის ფერი" ანუ "საიათნოვა".

გაკვეთილის გეგმა უფროსკლასელებისთვის

ავტორი: ნინო გაბუნია

ტური მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.

პროექტის მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და
რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ
უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების
განმავლობაში შექმნეს საქართველოს
საერთო ისტორია
და კულტურული
მემკვიდრეობა.

2025

კვლევის შესახებ:

კვლევის შესავალი და მიზანი:

1. მოსწავლეებმა შეძლონ საკითხის იდენტიფიცირება, გააანალიზონ არსებული პრობლემები და იმსჯელონ მოსალოდნელ შედეგებზე. კერძოდ, შევეცდებით, გავარკვიოთ, რა როლი ითამაშა თბილისის მულტიკულტურულმა გარემომ ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი ხელოვნის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. საუბარია კონკრეტულად სერგო ფარაჯანოვზე, როგორც მხატვარზე, შემსრულებელსა და არა მხოლოდ კინორეჟისორზე. საქართველოს დედაქალაქი თბილისი ყოველთვის იყო მრავალეთნიკური, მრავალკონფესიური მეტროპოლია. ამასთან, ეს ქალაქი კარნავალური სულის, ზეიმის მარადიული სურვილის დამტევი გახლდათ და აქ სიცოცხლის სიხარულისა და სისრულის შეგრძნების დაუოკებელი სურვილი ჭარბობდა, რაც შთაგონებით ავსებდა ფარაჯანოვს.

2. ჩამოუყალიბდეს ტოლერანტული დამოკიდებულება უცხო კულტურის მიმართ, ასწავლოს განსხვავებულის მიმღებლობა.

3. სხვადასხვა ერისა და ეპოქის კულტურულ მემკვიდრეობასთან ზიარებით განუვითარდეს გარესამყაროს აღქმისა და შემეცნების უნარი, მრავალმხრივი ხედვა.

4. განუვითარდეს სხვისი კულტურის მიმღებლობა და კულტურათა შორის დიალოგის შესაძლებლობა.

5. ემოციური და ესთეტიკური აღქმის, თანაგანცდის უნარის განვითარება.

მასწავლისა ორგანიზების ფორმები	კვლევის კამოყენებული მეთოდები
1. მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან. 2. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად. 3. მოსწავლეები მუშაობენ წყვილში. 4. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად.	1. დისკუსია; 2. ჯგუფური მუშაობა; 3. გონებრივი იერიში; 4.კონტექსტსა და სიტუაციაზე დაფუძნებული სწავლა.

საჭირო მასალა და ინვენტარი

1. ფლიფჩარტის ქაღალდი და მარკერები;
2. პროექტორი (პრეზენტაციისა და kahoot-ვიზუალიზაციისთვის);
3. კომპიუტერი - ფილმიდან ნაწყვეტების საჩვენებლად და ვიდეორგოლისათვის;
4. მაგნიტები;
5. წინასწარ გამზადებული სიმბოლოების ცხრილი;
6. ვიდეორგოლის ბმული;
7. მოსწავლეთა დაკვირვების ცხრილი შეფასებისათვის (განმავითარებელი). დაურიგდებათ მოსწავლეებსაც;
8. ეკრანი

გაკვეთილის მსვლელობა:

ფაზა I

გაკვეთილის თემისა და მიზნის წარდგენა მოსწავლეებისთვის (2 წთ.):

როგორც ცნობილია, "არმენ-ფილმ" სტუდიაში ფარაჯანოვმა, საკუთარი სცენარის მიხედვით, გადაიღო ფილმი Sayat Nova. ''ბროწეულის ფერი'' ერთდროულად სომხური სულიერი პოეზიის კინოენით თარგმნაცაა და ქართული კულტურის ვიზუალური ოდაც.

როგორც პოეტ საიათ ნოვას, ისე მისი საყვარელი პრინცესა ანას მთავარ როლებს მშვენიერი ქართველი მსახიობი სოფიკო ჭიაურელი ასრულებდა.

არმენ-ფილმზე გაოგნებულები იყვნენ, რატომ უნდა მიეღოთ ამ როლისთვის ქალი და, თან, ქართველი, მაგრამ სერგო ფარაჯანოვმა თავისი საქმე იცოდა, ის არ ცნობდა არანაირ შემზღუდველ საზღვრებს. ამასთან, ეს მხოლოდ რეჟისორული ხრიკი არ იყო — ეს იყო არჩევანი, რომელიც ხაზს უსვამდა კავკასიური კულტურების შერწყმას. ქალის სხეულში განსახიერებული სომეხი პოეტი და ქართულად ნათქვამი ტექსტები ქმნიან ფარაჯანოვისეულ პარადოქსს, სადაც ეროვნება მწყობრ სინთეზად, კულტურულ ერთობად გარდაიქმნება.

ფილმი ორ მონათესავე ცივილიზაციას – ქართულსა და სომხურს – დრამატულად და პოეტურად აერთიანებს. ფილმი თავადაც ორ კულტურას შორის მყოფი პოეტის, საიათ-ნოვას, ბიოგრაფიის არქიტექტურითაა აგებული, თუმცა, ფარაჯანოვი აქ სცდება ბიოგრაფიულ ნარატივს და ქმნის სიმბოლურ სამყაროს, სადაც ქართული და სომხური ელემენტები ერთმანეთში გადადის და ახალ ესთეტიკურ სინთეზს აჩენს.

სწორედ ეს ეკლექტურობა, ერთგვარი "თეთრი სივრცე" კულტურებს შორის, სადაც თითოეული სიმბოლო – იქნება ეს სომხური წარწერა თუ ქართული ხელნაწერი, ბროწეული თუ სამოსის დეტალი – უკვე ერთიან სემიოტიკას ქმნის. მაგალითად, ბროწეული, რომელიც სომხურ პოეზიაში სიცოცხლისა და სისხლის სიმბოლოდ გვევლინება, ქართულ კულტურაშიც აღმოცენებულია როგორც ნაყოფიერებისა და სიწმინდის ნიშანი. სწორედ ამ ორხაზოვან სიმბოლიზმზეა აგებული ფილმის თემატური ღერძი.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ეთნოგრაფიული დეტალების სინთეზი კოსტიუმებსა და მუსიკაში. ფილმში სომხური სამღვდელო და ქალაქური ტანსაცმელი ერწყმის ქართულ ჩოხასა და თავშალს. მუსიკალური ფონი - სომხურ საგალობლებს ქართული პოლიფონიის ელემენტები ერწყმის, რაც არა მხოლოდ ეთნოკულტურული ნარატივის ვიზუალიზაციას, არამედ ენობრივად განსხვავებულ კულტურებს შორის ემოციური ხიდის აგებას ემსახურება.

ეს ფილმი დასტურია, როგორ შეიძლება ორ ეთნოსს შორის არსებული კულტურული კავშირი გადაიქცეს ხელოვნების ენად, რომელიც არ საჭიროებს თარგმანს. ამ კინემატოგრაფიულ თხრობაში ფარაჯანოვი ქმნის კულტურულ სინთეზს, რომელიც ეროვნული საზღვრების გარეშე აღწერს ადამიანურ განცდებს – სიყვარულს, რწმენას, დანაკარგს და პოეზიას.

ამგვარად, "ბროწეულის ფერი" შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ სომხური პოეტის ბიოგრაფიად, არამედ ქართულ-სომხური კულტურული ერთობის მანიფესტად. ეკრანზე დაჭრილი ბროწეულის წვენი იმ სისხლთანაა გაიგივებული, რაც საერთო სულიერი მემკვიდრეობის დასაცავად დაღვრილა. ამ ფილმში ქართული ელემენტები ორგანულადაა გადახლართული სომხურ ტრადიციებთან, როგორც ძაფები ერთ ხალიჩაში.

ფილმის საერთაშორისო ფესტივალებზე მოხვედრამ გამოიწვია არნახული გამოძახილი. ჩვენ დღეს ვისაუბრებთ ამ ფილმში დასმულ ძირითად საკითხებზე და ამოვიცნობთ იმ ძირითად სიმბოლოებს, რომელბსაც გვთავაზობს ავტორი, ასევე, კავშირებზე კულტურათა შორის.

გონებრივი იერიშისათვის დავსვი შემდეგი კითხვა: 10წთ. რა ვიცით ბროწეულის სიმბოლიკაზე? **(ინდივიდუალური)**

ბროწეული (სიმბოლიკა)

ძველი ბერძნების რწმენით, ბროწეულის ხე დიონისეს სისხლზეა ამოზრდილი.

მიწისქვეშა სამეფოს ღმერთმა ჰადესმა პერსეფონე მოიტაცა და მათი ქორწინების ნიშნად ბროწეული აჩუქა .

ქრისტიანობაში ბროწეულის წვენი იწვევდა პირველმოწამეთა სისხლის ასოციაციას.

პირველქრისტიანთათვის ბროწეულის კანქვეშ ძოწისფერი მარცვლების თანაწყობა მათი საიდუმლო ძმობის განსახიერება გახდა.

ძველი აღთქმის მიხედვით, ბროწეული სიმდიდრისა და სიუხვის ნიშანი იყო.

ბროწეულის ნაყოფი ბიბლიაში სამყაროს ერთიანობას განასახიერებს.

მოსწავლეებს, ასევე, ვაცნობთ კონცენტრული წრეების რიგს და ადამიანს.

რა ვიცით კონცენტრულ წრეებზე? ჩვენი, როგორც ეთიკური არსებების არსი, ჰეიროკლეს მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ გარე წრეებზე მყოფი პირები შიდა წრეებში შევიყვანოთ. ჩვენი ამოცანაა გავაფართოვოთ ჩვენი ემპათიის წრე. კოსმოპოლიტიზმი, ჰუმანიზმი მოგვიწოდებს გავაფართოვოთ ჩვენი წრეები და ფარაჯანოვის ციტატა ''ჩემი სიყვარული თქვენდამი, ჩვენი მიწისადმი – ქართულისადმიც და სომხურისადმიც – გასაოცარია'', დავუკავშიროთ ერთმანეთს.

აქედან ვასკვნით: ფარაჯანოვი, მიუხედავად იმისა რომ თავად არ იყო ეთნიკურად ქართველი, გახდა ერთგვარი კულტურული ელჩი, რომელმაც ქართული კულტურა, მსოფლიო კულტურულ რუკაზე მნიშვნელოვან ადგილზე წარმოაჩინა და ხელი შეუწყო საზღვრების გადალახვას.

ფარაჯანოვის წვლილი ქართულ კულტურაში არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ერთ ხელოვანს გაარღვიოს ეთნიკური და ეროვნული საზღვრები და გახდეს რამდენიმე კულტურის საერთო საგანძური. მან თავისი შემოქმედებით შექმნა კავშირი სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ კულტურებს შორის და ხელი შეუწყო კავკასიური კულტურული იდენტობის გაღრმავებას. საბჭოთა ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლა მაგალითი გახდა ქართველი ხელოვანებისთვის, რომლებიც საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ.

სერგეი ფარაჯანოვის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ქართულ კინემატოგრაფზე რამდენიმე მიმართულებით: ფარაჯანოვმა აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ხალხური ტრადიციების, მითების და რიტუალების გამოყენება თანამედროვე კინოხელოვნებაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველი რეჟისორებისთვის.

თენგიზ აბულაძის გვიანდელ ნამუშევრებში, განსაკუთრებით "მონანიებაში", შეიძლება ვიხილოთ ფარაჯანოვის გავლენა სიმბოლიზმისა და მეტაფორების გამოყენებაში.

ელდარ შენგელაიას ფილმებში, როგორიცაა "შერეკილები" და "ცისფერი მთები", ასევე გამოჩნდა ფარაჯანოვის გავლენა ვიზუალურ პოეტიკაში.

ოთარ იოსელიანის მინიმალისტური სტილი განსხვავდება, მაგრამ მისი ფილმების ეთნოგრაფიული დეტალები, ასევე, ეხმიანება ფარაჯანოვის მიდგომას.

ქართველი რეჟისორები ცდილობდნენ ქართული იდენტობის გლობალურ კონტექსტში გააზრებას. ფარაჯანოვის დაპატიმრებები და დევნა იქცა სიმბოლოდ ხელოვნების თავისუფლებისთვის ბრძოლისა. ქართველი ხელოვანები და ინტელექტუალები აქტიურად იცავდნენ ფარაჯანოვს რეპრესიების დროს.

ფარაჯანოვის ფილმები ხელს უწყობდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ფარაჯანოვი თავის ინტერვიუებსა და საჯარო გამოსვლებში ხშირად საუბრობდა ქართული კულტურის თავისებურებებზე, უნიკალურობაზე. მაგალითად, პომპიდუს ცენტრში პარიზში და სხვა პრესტიჟულ სივრცეებში გამართულ ჩვენებებს ხშირად თან ახლდა ქართული კულტურის სხვა ასპექტების წარმოჩენა.

საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა 2010-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქართული კინოკლასიკის აღდგენის მიზნით და განახორციელა პროექტები, რომელიც ნაწილობრივ ინსპირირებული იყო ფარაჯანოვის ფილმების წარმატებული აღდგენით. ამ პროექტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული კინოს საერთაშორისო აღიარების გაძლიერებაში.

ფარაჯანოვის ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც მის ავტორიტეტზე მიუთითებს მსოფლიო კინოხელოვნებაში. შთამბეჭდავია მირინოში საერთაშორისო კონოფესტივალის პრიზის ''ამარკორდის'' (ნიშნავს -''მე ვიხსენებ'', მირინის დიალექტზე) შექმნის ისტორია. ცნობილი კონორეჟისორი გია დანელია იხსენებს, რომ მირინიდან იყვნენ ფედერიკო ფელინი და ტონინო გუერა. ფელინიმ აქ გადაიღო თავისი ''ამარკორდი". იტალიელ რეჟისორებს სურდათ, დაეარსებინათ მშობლიურ ქალაქში ფესტივალი და დაეწესებინათ პრიზი. მედალიონი კი სერგო ფარაჯანოვის ესკიზის მიხედვით დაამზადეს. როცა ფარაჯანოვი საბჭოთა ციხეში სასჯელს იხდიდა, მან იქ ფოლგისაგან დაამზადა მედალიონი ღვთისმშობლის გამოსახულებით და იტალიელებმა ამ მაკეტის მიხედვით ვერცხლის მედალიონი გააკეთეს. პირველი მფლობელი ამ ჯილდოსი გია დანელია გახდა ფილმისათვის ''ნასტია'', 1991 წელს. როგორც გ. დანელია ისხენებს თავის წიგნში, მას ფარაჯანოვი ერთხელაც დაჰპირებია, რომ პრიზს დაუმზადებდა და გადასცემდა. ფარაჯანოვმა

სიტყვა შეასრულა. ფელინიმ ისე, რომ ფილმი არც კი უნახავს, ისე გადასცა ეს პრიზი დანელიას, ფილმი კი თვით რეჟისორისვე შეფასებით, უღიმღამო ნაშრომი გამოვიდა. ამ დროს ის უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ სწორედ ხსოვნის წყალობითაა ეთიკურად მოწესრიგებული კოსმოსი.

ვიდეორგოლის ჩვენება (5 წთ.) https://www.youtube.com/watch?v=MeOsZp5bRxo

ფაზა II

კითხვა - პასუხი (10წთ.) ინდივიდუალური

„კარნავალების“ პატარა „სამყაროს“ ჯადოქრის ბიოგრაფის ძირითადი ეპიზოდები.

1. რამდენი ერის წარმომადგენლად და შვილად თვლიდა ის თავს?
2. რითია განსაკუთრებული და გამორჩეული მისი ხელოვნება?
3. რატომ მიაჩნდათ ის მეამბოხედ ხელისუფლების წარმომადგენლებს
4. მსოფლიო კინოს ისტორიაში შედევრებად ითვლება მისი ფილმები. დაასახელეთ ისინი.
5. რომელია მისი ბოლო დაუსრულებელი ფილმი?
6. ვინ ასრულებს საიათნოვას როლს ფილმში ''ბროწეულის ფერი“?

მოსწავლეებს ეძლევათ სამი ნაწყვეტი ფილმიდან და ახლა ვისაუბრებთ ამ კადრებში გამოყენებულ სიმბოლიკაზე.

კადრები სერგო ფარაჯანოვის ფილმიდან „ბროწეულის ფერი“ (20.წთ.) მთელი კლასი.

სერგო ფარაჯანოვმა „ბროწეულის ფერი“ 1968 წელს გადაიღო. ფილმს ის სცენარის გარეშე იღებდა. ეს არის ერთგვარი ამბავი თხრობისა და შეგვიძლია, კულტურული კონტექსტის გამოყენებით, გადავიაზროთ სახე-სიმბოლოები, როგორ შეგვიძლია გვესმოდეს და ასევე მასწავლებლის დახმარებით გავიფართოვოთ თვალსაწიერი. ფილმი საიათნოვას ბიოგრაფიას გვაცნობს. ყველაზე სკანდალური იყო რეჟისორის მიერ საიათნოვას როლში ქალის მოწვევა - სომეხი აშუღი პოეტის როლს ასრულებს სოფიკო ჭიაურელი.

„ბროწეულის ფერი“ შედევრად აღიარეს ფედერიკო ფელინიმ, ჟან-ლუკ გოდარმა და მიქელანჯელო ანტონიონიმ.

განიხილავთ ორ ნაწყვეტს : პოეტის ბავშვობა და ნადირობის სცენა. კადრებში ნათლად ჩანს ცალკეული პერსონაჟების სახეები, სხვადასხვა კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მისწრაფებები. განიხილავენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების ყოფას, წეს-ჩვეულებებსა და თავისებურებებს. გაღვივდება ტოლერანტობისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიმართ ემპათიისა და თანაგრძნობის განცდა.

პოეტის ბავშვობის სცენა.

ბავშვობის სცენაში ვიზუალური სიმბოლოები და კომპოზიცია ენაცვლება ტრადიციულ თხრობას. ეს არის პოეტური რეკონსტრუქცია იმ კულტურული და სულიერი გარემოსი, რომელმაც ჩამოაყალიბა საიათ ნოვა, როგორც პოეტი და მოაზროვნე. პოეტის ბავშვობის სცენაში ფარაჯანოვი ქმნის თითქმის მოძრავ ფერწერულ ტილოს. კადრები სტატიკურია და ზუსტად გათვლილი, თითქოს შუა საუკუნეების მინიატურებისგან შემდგარი ცოცხალი კოლაჟია. ეს სცენა წარმოგვიდგენს პატარა ბიჭს (მომავალ პოეტ საიათ ნოვას), რომელიც გარემოცულია სომხური და კავკასიური კულტურის ნიშნებით. აღსანიშნავია ფერთა გამა, განსაკუთრებით გამოირჩევა წითელი, ოქროსფერი და ლურჯი. წითელი ფერი ხშირად გვხვდება რელიგიური და კულტურული რიტუალების სიმბოლოდ, ხოლო ოქროსფერი სულიერებასა და სიმდიდრეს გამოხატავს.

მნიშვნელოვანი სიმბოლოები:

წიგნები და ხელნაწერები - სცენაში ასახული მანუსკრიპტები და წიგნები მიანიშნებს საიათ ნოვას მომავალ გზას პოეზიისა და განათლებისკენ. ეს ხელნაწერი ორ ენაზეა შესრულებული - ქართულ და სომხურ ენებზე.

ქსოვილები და ხალიჩები - მდიდრული ნაქარგი ქსოვილები და ხალიჩები არა მხოლოდ ვიზუალურ სილამაზეს მატებს კადრს, არამედ კავკასიური ხელოსნობისა და ტრადიციების სიმბოლურ რეპრეზენტაციას წარმოადგენს.

რიტუალური საგნები - სცენაში ჩანს სხვადასხვა რელიგიური და რიტუალური ნივთები, რომელიც გვიჩვენებს იმ გარემოს, სადაც მომავალი პოეტი იზრდებოდა.

ბროწეული თეთრ ტილოზე - ნაყოფიერებისა და მრავალფეროვნების სიმბოლო. ''სისხლმდინარი'' ბროწეული ტკივილისა და ტანჯვის სიმბოლოა და თავად რეჟისორის ცხოვრებაც ტკივილსა და განსაცდელს უკავშირდება.

ხანჯალი - ხანჯალი ამ კონტექსტში არა მხოლოდ იარაღია, არამედ კავკასიური კულტურის, მამაკაცურობისა და ღირსების სიმბოლოც. ეს შეიძლება მიანიშნებდეს მომავალ კონფლიქტებზე პოეტის ცხოვრებაში, ან მის მზადყოფნაზე, გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ გამოწვევებს. ხანჯალი, ასევე, შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ხელოვნების იარაღი, რომლითაც პოეტი "ჭრის" და აყალიბებს თავის პოეზიას.

ფეხით დასრესილი ყურძნის მტევანი - ეს სიმბოლო უკავშირდება ღვინის ტრადიციას. ეს პროცესი შეიძლება გავიგოთ, როგორც ტრანსფორმაციის მეტაფორა - ყურძნის მარცვლები იცვლებიან და ღვინოდ იქცევა ისევე, როგორც ბავშვი იზრდება და ხდება პოეტი. ქრისტიანულ კონტექსტში, ღვინო იესოს სისხლის სიმბოლოა, რაც ამ სცენას კიდევ ერთ რელიგიურ განზომილებას სძენს და საერთოა ორივე კულტურისათვის

თევზი - რელიგიური მნიშვნელობა: თევზი ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა. ბერძნული სიტყვა "ΙΧΘΥΣ" (იხტის - თევზი)

ქრისტიანებისთვის აკროსტიქს წარმოადგენდა, რომელიც ნიშნავდა “იესო ქრისტე, ღვთის ძე, მაცხოვარი”. ფილმში თევზის გამოჩენა მიანიშნებს საიათ ნოვას სულიერ კავშირზე ქრისტიანულ ტრადიციასთან.

ფილმში თევზის გამოჩენა, ასევე, შეიძლება, განვიხილოთ როგორც პოეტის სულიერი ძიებისა და განწმენდის სიმბოლური გამოხატულება. ამასთან, ეს სიმბოლო შეიძლება მიანიშნებდეს პოეტის შინაგან თავისუფლებას, მიუხედავად გარეგანი შეზღუდვებისა. თევზი გამოხატავს კულტურულ კონტექსტს კავკასიურ რეგიონში, განსაკუთრებით კი სომხეთში. ის, ასევე, უკავშირდება სევანის ტბას, რომელიც უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული და კულტურული ლანდშაფტია. ფილმში თევზის გამოჩენა შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მინიშნება პოეტის კულტურულ ფესვებზე.

ფარაჯანოვის ფილმში თევზის სიმბოლო არის ერთ-ერთი ელემენტი იმ რთულ სიმბოლურ ენაში, რომელსაც რეჟისორი იყენებს დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გადმოსაცემად. ეს სიმბოლო არ არის იზოლირებული, არამედ ერთვება სხვა სიმბოლოებთან (როგორიცაა ბროწეული, ხანჯალი, წიგნები) და ერთად ქმნის მრავალშრიან ეფექტს.

ნათლისღება იოანეს მიერ:

ეს ბიბლიური მოტივი წარმოაჩენს სულიერ გამოცდილებას და განწმენდას. იოანეს მიერ ქრისტეს ნათლობა იყო მისი საჯარო მოღვაწეობის დასაწყისი. ფილმში ეს სცენა შეიძლება სიმბოლურად უკავშირდებოდეს პოეტის სულიერ გამოღვიძებას და მის მოწოდებას. ნათლისღება, ასევე, ძველი თუ ახალი იდენტობის, სულიერი ტრანსფორმაციის და განახლების სიმბოლოა.

ეს სიმბოლოები ერთად ქმნიან რთულ ვიზუალურ და კონცეპტუალურ ქსოვილს, რომელიც ასახავს საიათ ნოვას ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს - მის კულტურულ მემკვიდრეობას, სულიერ მგზავრობას და პოეტურ მოწოდებას. ფარაჯანოვი ამ სიმბოლოებს იყენებს არა მხოლოდ ვიზუალური მრავალფეროვნების მიზნით, არამედ პოეტის შინაგანი სამყაროს და მისი სულიერი განვითარების გამოსახატავად.

პოეტის ახალგაზრდობის სცენა.

მთავარი სიმბოლური ელემენტები ამ სცენაში:

თეთრი ბროწეულები - სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლო. ფარაჯანოვი ბროწეულს იყენებს როგორც პოეტური შთაგონებისა და შემოქმედებითი ენერგიის მეტაფორას.

წიგნები - ცოდნისა და სულიერი ზრდის სიმბოლო. სცენაში წიგნები ხშირად არატრადიციული კუთხით არის ნაჩვენები, რაც მიანიშნებს საიათ ნოვას არაორდინარულ აზროვნებაზე.

ფერთა სიმბოლიკის უკეთ გასააზრებლად მოსწავლეებს დაურიგდებათ სქემა „ფერების სიმბოლიკა“ და თან მასწავლებელი მათთან ერთად იმსჯელებს ფერების არსზე. - თეთრი და წითელი ფერების კონტრასტი. თეთრი სიწმინდეს გამოხატავს, წითელი კი - ვნებასა და შემოქმედებით ცეცხლს.

ქსოვილები და ხალიჩები - სომხური კულტურის სიმბოლო და, იმავდროულად, პოეტის შინაგანი სამყაროს მეტაფორა. ორნამენტები და ნახატები ხალიჩებზე პოეტის რთულ შინაგან სამყაროს გამოხატავს.

სარკეები - თვითშემეცნების სიმბოლო. ახალგაზრდა პოეტი საკუთარ თავს ეძებს და იცნობს.

ფარაჯანოვი ამ სცენაში იყენებს სტატიკურ კადრებს, რომლებიც თითქოს ცოცხალი ნატურმორტებია. ეს მხატვრული ხერხი ხაზს უსვამს მომენტის მარადიულობას და პოეტის სულიერი ფორმირების პროცესის მნიშვნელობას.

ნადირობის სცენა

სიმღერის სიმბოლიზმი: “შენ ხარ ვენახი” არის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელი. ნადირობის კონტექსტში მისი გამოყენება ქმნის საინტერესო დაპირისპირებას სულიერსა და ხორციელს შორის. სიმღერის ტექსტი (“ახლად აყვავებული”) უკავშირდება განახლებისა და სულიერი აღორძინების თემას.

ნადირობის სიმბოლიზმი: ნადირობა აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც ფიზიკური ქმედება, არამედ როგორც სულიერი ძიების მეტაფორა, მონადირეები განასახიერებენ ადამიანის მუდმივ სწრაფვას რაღაც მაღლისკენ

ვიზუალური ელემენტები: კადრების კომპოზიცია ხშირად მოგვაგონებს შუა საუკუნეების მინიატურებს, ბუნების გამოსახულებები (ხეები, მთები) წარმოდგენილია როგორც საკრალური სივრცის ნაწილი.

კულტურული შრეები: სცენაში იკვეთება ქრისტიანული და წარმართული ტრადიციები. **საგალობლის** გამოყენება ნადირობის დროს მიუთითებს ამ ორი სამყაროს თანაარსებობაზე.

აქ საიათნოვას ლექსიც ჩნდება, სადაც სიკვდილზეა საუბარი და ეშმაკიც არის ამ ეპიზოდში.

საიათ ნოვას ლექსის სიმბოლიზმი: ლექსში სიკვდილზე საუბარი უკავშირდება სულიერ ტრანსფორმაციას. სიკვდილი აქ არის არა მხოლოდ ფიზიკური დასასრული, არამედ ძველი “მე”-ს კვდომა და ახლის დაბადება

ეშმაკის გამოჩენის სიმბოლური მნიშვნელობა: ეშმაკი წარმოდგენილია როგორც ცდუნების სიმბოლო, მისი გამოჩენა “შენ ხარ ვენახის” დროს ქმნის მძაფრ კონტრაპუნქტს საღვთო და დემონურ საწყისებს შორის. ეშმაკის ფიგურა აქ არის არა მხოლოდ ბოროტების, არამედ შინაგანი ბრძოლის სიმბოლო

სცენის კომპლექსური სტრუქტურა: 1.საგალობელი ("შენ ხარ ვენახი"), 2.საიათ ნოვას ლექსი სიკვდილზე, 3.ეშმაკის გამოჩენა, 4.ნადირობის მოტივი - ეს ყველაფერი ერთად ქმნის რთულ ალეგორიას ადამიანის სულიერ გზაზე, სადაც ერთდროულად არსებობს: საღვთო საწყისისკენ სწრაფვა (საგალობელი),

ფარაჯანოვი ამ სცენაში სხვადასხვა კულტურული და რელიგიური მოტივებია შერწყმული, რაც ტიპურია მისი შემოქმედებისთვის.

კულტურული შერწყმა

სომხური: მინიატურული ხელოვნების ესთეტიკა, არქიტექტურული ელემენტები, საეკლესიო ტრადიცია, ხალხური მოტივები. ფილმის ძირითადი საეკლესიო არქიტექტურა სომხურია, თუმცა, ფილმის სცენები გადაღებულია თბილისის ძველ უბანში, სადაც კადრებში მოჩანს ქართული საეკლესიო არქიტექტურის ელემენტები. ფილმის რამდენიმე სცენაში ჩანს ძველი თბილისის სახლები და ეზოები, სადაც საიათნოვა რეალურად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ქართული: პოლიფონიური საგალობელი, სამონადირეო კულტურა, არქიტექტურული დეტალები.

სპარსული: მინიატურული ხელოვნების გავლენა, დეკორატიული ელემენტები.

მუსიკალურ შრეში (ქართული საგალობელი და საიათ ნოვას პოეზია)
ვიზუალურ კომპოზიციაში (მინიატურული ხელოვნების გავლენა)
რიტუალურ ელემენტებში (ნადირობის ტრადიცია).

სიმბოლოების რუკა. მოსწავლეები შეავსებენ ცხრილს.
ჯგუფური აქტივობა (10 წთ.) *(იხილეთ დანართი #2)*

პრეზენტაცია - წარადგენენ საკუთარ ნაშრომებს,
ჯგუფური აქტივობა (10 წთ.)

ჯგუფი III

კახუტი: მასალის უკეთ ათვისებისათვის ბავშვები ითამაშებენ ვიქტორინას.
ჯგუფური აქტივობა.15 წუთი. *(დანართი #3)*

შეჯამება - "კინომასწავლებელი" **წყვილებში (7 წთ.)**

მოსწავლეები შეაჯამებენ ფილმის ვიზუალური ენასა და სიმბოლიკას, კერძოდ, შეაფასებენ ''ბროწეულის ფერში" გამოყენებულ დეტალებს, როგორ ასახავს ფილმი საქართველოს ეთნიკურ მრავალფეროვნებას. ისაუბრებენ, რომ ფარაჯანოვის კინემატოგრაფიული ხელოვნების საფუძველია კომპოზიცია, სინათლე, ფერი, ის ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის ირგვლივ არსებულ ობიექტებს, საგნებს. ჩარჩოში ჩასმული ობიექტი შეიძლება ნიშნავდეს არანაკლებ პერსონაჟს. ის ცდილობდა, რომ მაყურებელი სერიოზულად დაკვირვებოდა არა მხოლოდ პერსონაჟებს, არამედ მათ გარშემო არსებული საგნებსაც. მისი ფილმები, კოლაჟები, სკულპტურები, უნიკალური გამოსახულებები წარმოუდგენელი სილამაზისა და ღრმა გრძნობების გამოსახულებაა.

მოსწავლეები უკეთ გაიაზრებენ კულტურულ ღირებულებებს. ისინი თავიანთ ხედვას წარადგენენ. სერგო ფარაჯანოვმა ხომ წარმოსახვა გააცოცხლა და XVIII საუკუნის სული გაჩერებულ კადრებად ასახა. ამასთან, მძაფრად წარმოაჩინა თბილისი, როგორც მულტიკულტურული გადაკვეთის ადგილი .

რეფლექსია/შეჯამება

სერგო ფარაჯანოვი - კაცი, რომელმაც, როგორც რეჟისორმა, იპოვა თავისი ნამდვილი თემა თბილისის ისტორიისა და კულტურის მდიდარ ფენებში და რომელიც მან მართლაც უნიკალური სახით წარმოადგინა.

თბილისი მნიშვნელოვანი კოსმოპოლიტური ქალაქი გახლდათ და მან, როგორც რეჟისორმა, თბილისური კულტურის გამოძახილი წარმოაჩინა თავის ფილმში.

ის კოსმოპოლიტი ხელოვანია, მას ენის სტრუქტურის მეტად თავისებური გაგება აქვს, რაც აისახება მის ფილმებში და როგორც აღვნიშნეთ, ეს თბილისური კულტურის (მრავალფეროვნების) გამოძახილია. იმ დროს ქართულ და სომხურ ფილმებს ჩვეულებრივ რუსულად ახმოვანებდნენ. მაგრამ, ფარაჯანოვი ამას ებრძოდა, სურდა შეენარჩუნებინა ენის ავთენტური სტრუქტურა. და, როდესაც მან "ბროწეულის ფერი" გადაიღო, ვფიქრობ, ეს მისი მხრიდან განზრახ იყო - მისი გახმოვანება უკვე შეუძლებელი იყო. მეჩვენება, რომ ენის სტრუქტურისადმი ეს მგრძნობელობა მართლაც უნიკალურია ფარაჯანოვის შემთხვევაში. ვფიქრობ, ეს არის მისი კოსმოპოლიტური თბილისური აღზრდის ერთ-ერთი მიზეზი.

ვისაუბრეთ მთავარ სიმბოლოზე ბროწეულზე. რატომ ჰქვია ფილმს ბროწეულის ფერი? ბროწეული საქართველოს კულტურული ფენომენია, მისი ჩართვა უნიკალურ

მითოსებასთან, სადაც წითელი ფერი აყვავებული სიცოცხლისა და თანაბრად სასტიკი სიკვდილის სიმბოლოა, სადაც ბროწეულის დაღვრილი წვენი არის ის, რაც ჩვენ, სხვა კულტურის დამთვალიერებლებს, საქართველოს სულის გადმოსვლის, მისი ტანჯვისა და ყოვლისმომცველი აღფრთოვანების სახით გვევლინება.

ვისაუბრეთ წინასწარ მოცემული ნაწყვეტების თემატიკასა და მნიშვნელოვან სიმბოლოებზე. ფილმის ძირითად იდეაზე, კერძოდ, მოსწავლეები გაერკვნენ, რომ ეს არის საოცარი ამბავი პოეტზე, რომელიც ეძებდა ცხოვრების აზრს. რატომ მოვდივართ ამ სამყაროში? რისი მოსმენა გვინდა ღვთისგან? როგორ და რატომ იბნევა ჩვენი გზები?

ფილმი ენობრივი ლაკონიზმით გამოირჩევა, მან საბოლოოდ გადაიღო ფილმი თავისი ენის კანონების, გრამატიკის მიხედვით. მისი სცენები უტყვია და მიუხედავად ამისა, კადრები ღრმა მნიშვნელობებით არის დატვირთული.

ინდივიდუალური საშუალო ფაილები და აქტივობების შესალა

დანართი#1: ცხრილი სიმბოლოების რუკისათვის

სიმბოლო	განმარტება
ბროწეული	
ხელნაწერები	
ხანჯალი	
ფეხით დასრესილი მტევანი	
 საგალობლები	
თევზი	
ეშმაკი	
ნადირობა	

დანართი #2: ფერების სიმბოლიკა

წითელი/ბროწეულისფერი	სიყვარული, ვნება, სისხლი, მსხვერპლი, სიცოცხლის ძალა, პოეტის გულის სიღრმე.
ლურჯი	სულიერება, პოეზია, ტრანსცენდენტულობა, საიათნოვას შემოქმედებითი სული, უსასრულობა
ოქროსფერი/ყვითელი	სიმდიდრე, ბრწყინვალება, ხელოვნება, ღვთაებრიობა, სასახლის ცხოვრება
თეთრი	სიწმინდე, უმანკოება, ასევე სიკვდილი სომხურ ტრადიციაში, სულიერი განწმენდა
შავი	სევდა, ტრაგედია, საიათნოვას ბედისწერა, უარყოფითი ძალები
მწვანე	ბუნება, სიცოცხლე, აღორძინება, კავკასიის მთები და ლანდშაფტი, იმედი .
ვერცხლისფერი	მუზები, შთაგონება, პოეტის ნიჭი, მთვარის შუქი, ხელოვნების მარადიულობა

დანართი #3: [კახუტის ბმული]

დანართი #4: ფილმის ''ბროწეულისფერი ''ნაწყვეტების ბმულები:

https://www.youtube.com/watch?v=ELDkjDpg608&t=378s
https://www.youtube.com/watch?v=dBs8eeB0IYQ&t=6s
https://www.youtube.com/watch?v=1rx3h5qiy5g&t=4s

დანართი #6: პრეზენტაცია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.youtube.com/watch?v=52C9F6rp6aQ
2. https://surl.li/jupxng
3. https://surl.li/fxtsyz
4. https://surl.li/swcgzg
5. https://surl.li/gwqhtx
6. https://www.youtube.com/watch?v=YWCEiQ1iWyI
7. https://www.armmuseum.ru/news-blog/sergei-parajanov-the-color-of-pomegranates
8. https://kinoart.ru/texts/sergey-paradzhanov-dusha-utonuvshaya-v-krasote
9. https://www.youtube.com/watch?v=kAuqRSSjHDE
10. http://loveread.ec/read_book.php?id=81548&p=1